Тбилисский Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. მარტის 28 № 8 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

29. საამორტიზაციო ანარიცხთა რაოდენობისა და კომუნალურ საწარმოების კაპიტალურ რემონტისათვის საჭირო ასიგნობათა ოდენობის შესახებ.

30. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს საშუამავლო კანტორის „ექსპერტბიუროს“ ხე-ტყის მასალების საექსპერტიზო ფუნქციების საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

31. ტუნგოს ნერგისა და სათესლე მასალის გასაცემი ფასების დაწესების შესახებ.

32. კოლხიდის დასახლების წესის შესახებ.

33. ევკალიპტის ნარგავების მოვლის ღონისძიებათა შესახებ.

34. აჯამეთის სატყეო მასივის სატყეო ნაკრძალად გამოცხადების შესახებ.

35. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულებაში მე-17 მუხლის 1 შენიშვნის გაუქმების შესახებ.

36. ადგილობრივი საბჭოების სახლებში კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადებისათვის ანარიცხების დაწესების შესახებ.

37. 1940 წლისათვის ციტრუსოვახთა გასაშენებლად 1939 წელს ნიადაგის მომზადებისა და ფართობების ამოძირკვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

29. საამორტიზაციო ანარიცხთა რაოდენობისა და კომუნალურ საწარმოების კაპიტალურ რემონტისათვის საჭირო ასიგნობათა ოდენობის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 8 აპრილის დადგენილებისა „კომუნალურ საწარმოთა საამორტიზაციო ანარიცხთა გამოყენებისა და რემონტის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 17, მუხ. 113).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს კომუნალური საწარმოებისათვის ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების საშუალო ნორმა მომქმედი მანქანების, მოწყობილობის, შენობებისა და ნაგებობათა თავდაპირველი ღირებულების პროცენტებში 6%-ის ოდენობით.

2. დაწესდეს ყოველწლიურ საამორტიზაციო ანარიცხთა შემდეგი საშუალო ნორმები კომუნალურ საწარმოთა ცალკეულ სახეების მიხედვით:

ა) წყალსადენი	3,8%
ბ) კანალიზაცია	4,2%
გ) აბანოები	5,1%
დ) სამრეცხაოები	5,5%
ე) ელექტრომეურნეობა	6,4%
ვ) ტრამვაი	9,0%
ზ) საშენი მასალებისა და კომუნალური მოწყობილობის დამამზადებელი საწარმოები	6,0%
თ) სატროლეიბუსო მეურნეობა	9,0%
ი) ავტოტრესტები	14,1%
კ) გასუფთავება	8,6%
ლ) სამშენებლო ორგანიზაციები	6,0%

3. დაწესდეს კომუნალური საწარმოებისათვის საამორტიზაციო ანარიცხთა ხარჯზე სპეციალურად კაპიტალური რემონტისათვის ყოველწლიურ ასიგნობათა ნორმები მანქანების, მოწყობილობის, შენობებისა და ნაგებობათა თავდაპირველი ღირებულების 3,3% ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კომუნალურ საწარმოთა ცალკეული სახეების მიხედვით დაწესდეს საამორტიზაციო ანარიცხთა ხარჯზე ყოველწლიური ასიგნობათა ნორმები სპეციალურად კაპიტალური რემონტისათვის:

ა) წყალსადენი 1,7%
ბ) კანალიზაცია 1,9%
გ) აბანოები 1,9%
დ) სამრეცხაოები 2,0%
ე) ელექტრომეურნეობა 4,0%
ვ) ტრამვაი 5,5%
ზ) საშენი მასალებისა და კომუნალური მოწყობილობის დამამზადებელი საწარმოები 3,6%
თ) ტროლეიბუსები 5,5%
ი) ავტოტრესტები 7,6%
კ) გასუფთავება 4,8%
ლ) სამშენებლო ორგანიზაციები . . . 3,3%

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ყოველწლიურ საამორტიზაციო ანარიცხთა და კაპიტალური რემონტის ანარიცხთა ოდენობის დადგენის დროს იხელმძღვანელონ პროცენტული საამორტიზაციო ანარიცხებით, რომლებიც დაწესებულია მომქმედი მანქანების, მოწყობილობის, შენობებისა და ნაგებობათა თავდაპირველი ღირებულების მიმართ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. მარტის 4. № 320.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს საშუამავლო კანტორის „ექსპერტბიუროს“ ხე-ტყის მასალების საექსპერტიზო ფუნქციების საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

აღნიშნავს რა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საშუამავლო კანტორის საექსპერტო ბიუროს არადამაკმაყოფილებლად მუშაობას სატყეო ბრაკერაჟის საქმის ხაზით და იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს ტყის ბრაკერაჟის საქმე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საშუამავლო კანტორის საექსპერტო ბიუროს ხე-ტყის მასალის ექსპერტიზის ფუნქციები და აგრეთვე ხე-ტყის ბრაკერაჟის საქმე გადაეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

2. დადგენილ იქნას ექსპერტბიუროს მიერ შესრულებული სამუშაოს საანარდო ანაზღაურების წესი ვაგონების მიხედვით და დამტკიცდეს ხე-ტყის მასალის ექსპერტიზის შეფასებანი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ (იხ. დანართი).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე,**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 4. № 321.
თბილისი

შეფასებანი ხე-ტყის მასალის ექსპერტიზისათვის

(ერთ ვაგონში)

1. შეშა	10	მან.
2. წიწვიანი ჯიშის მორები	15	„
3. საქონლის საფენი ლატანები	25	„
4. ფოთლოვანი ჯიშის კოტრები	20	„
5. სამშენებლო ძელები	25	„
6. „ შპალები	20	„
7. წიწვიანი ჯიშის ფიცრები და ძელაკები ჩამოჭრილი, ჩამოუჭრელი, გაშალაშინებული და სხ.	30	„
8. ფოთლოვანი ჯიშის დახერხილი მასალა	70	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სატარე კოტრები . . . . . .
   ა) ცალობრივ გამოუზომელად . . 20 „
   ბ) ცალობრივი გაზომვით . . . 25 „
10. სატარე ფიცრები . . . . . 30 „
11. შპალის ნაგვერდული და აბაპოლი წიწვიანი ჯიშისა . . . . . 25 „
12. კოზმიტი (ფრიზა) დახერხილი და პარკეტი . . . . . .
   ა) ამორჩევითი მეთოდით . . . 40 „
   ბ) 100% გასინჯვა . . . . . 100 „
13. შვინდისა და შვინდანწლის ჯოხები
   ა) 100% გასინჯვა . . . . . 80 „
   ბ) ამორჩევითი გასინჯვა . . . . 40 „
14. კუნელი, წყავი . . . . . 40 „
15. დაჭრილი და დახერხილი ტკეჩი, ყავარი (ამორჩევით) . . . . . 40 „
16. ფანერა . . . . . .
   ა) ამორჩევით დაწებ. . . . . 40 „
   ბ) „ ვენირებ. . . . 50 „
   გ) „ დაჭრ. . . . . 60 „
17. ბზა 100% გასინჯვა . . . . . 80 „

შენიშვნა: როდესაც ექსპერტები რაიონებში მიემგზავრებიან, მათ აუნაზღაურდებათ სამივლინებო ხარჯები 600 მან. განაკვეთიდან, აგრეთვე მგზავრობის ფაქტიური ხარჯები კლიენტების ხარჯზე.

31. ტუნგოს ნერგისა და სათესლე მასალის გასაცემი ფასების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ტუნგოს ნერგისა და სათესლე მასალის შემდეგი ფასები:

ერთწლიანი ნერგები . . . . . 1 მან. და 10 კაპ. ცალი
ორწლიანი „ . . . . . 1 მან. და 55 კაპ. „
მყნობის შედეგად მიღებული ნერგები . 2 „ „

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ტუნგოს თესლის გასაცემი ფასი და ორი დეკადის ვადაში დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. მარტის 4. № 322.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. კოლხიდის დასახლების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი (ჭიათურის, გეგეჭკორის, ხობის, ფოთის) არ აწარმოებს სათანადო ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რომ გლეხები თვითნებურად იკავებენ კოლხიდაში ამოშრობის შედეგად მიღებულ მიწის ნაკვეთებს. ჭიათურის და გეგეჭკორის რაიონების, დაახლოვებით 60 მეურნეობა ეწევა კოლხიდაში (ფოთის და ხობის რაიონებში) დროებითს მიწათსარგებლობას ინდივიდუალურ წესით, ამავე დროს ირიცხებიან კოლმეურნეობათა წევრებად თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, სადაც ინარჩუნებენ მიწის ნაკვეთებს, რაც სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევას წარმოადგენს.

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს გადმოსახლების საქმე და გეგმაშეზომილად იქნას ათვისებული ამოშრობის შედეგად მიღებული მიწები კოლხიდის დაბლობში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს კოლხიდის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე თვითნებურად დასახლება და დროებითი მიწათსარგებლობა.

დაევალოს ხობის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს და ფოთის საქალაქო საბჭოს მომავალში არ დაუშვან მიწათსარგებლობა კოლხიდის დაბლობზე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალური ნებართვის გარეშე.

2. დაწესდეს, რომ კოლხიდის დაბლობზე გადმოსახლებას აწარმოებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მას შემდეგ, რაც გადმოსასახლებელთა კონტიგენტს დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების წარდგენით.

3. დაწესდეს, რომ გადმოსახლებულნი, რომლებიც დასახლების ადგილებზე მიიღებენ საცხოვრებელ სახლებს, მოვალენი არიან ფაქტიურად დასახლების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში მთლიანად მოახდინონ გასვლის ადგილებში მთელი თავისი მეურნეობის ლიკვიდაცია.

იმ მეურნეობებს, რომლებსაც გასვლის ადგილებში საკარმიდამო ნაკვეთებზე აქვთ მრავალწლოვანი ნარგავები, ამ ნარგავების ღირებულებას აუნაზღაურებენ კოლმეურნეობანი საერთო საფუძვლებზე.

გადმოსახლებულნი, რომლებსაც დასახლების ადგილებში არ ეძლევათ საცხოვრებელი სახლები, მოვალენი არიან მოახდინონ თავიანთი ქონების ლიკვიდაცია და გადასცენ კოლმეურნეობებს საკარმიდამო ნაკვეთები სახლების აშენებისთანავე.

4 იმის გამო, რომ ადგილი აქვს მცირემიწიანი რაიონების სოფლის მოსახლეობის ლტოლვას კოლხიდისაკენ, დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) ჩაატაროს ამოშრობის შედეგად მიღებული მიწების დაგეგმვა, აღნიშნოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატურაში ნაკვეთები განსაზოგადოებული სექტორისათვის, საკარმიდამო ნაკვეთებისა და ყოველგვარი სახის ნაგებობისათვის;

ბ) იმ გლეხებს, რომლებიც განაცხადებენ სურვილს გადასახლდნენ საცხოვრებელი სახლების აგებამდე, გამოუყოს საკარმიდამო ნაკვეთები წინასწარ დაგეგმილ დაბებში;

გ) მიამაგროს ნაკვეთები დაგეგმილ დაბებში ჭიათურისა და გეგეჭკორის რაიონების მეურნეობებს, რომლებიც კოლხიდაში 1939 წლამდე დასახლდნენ და რომლებმაც განაცხადეს კოლხიდაში მუდმივ ცხოვრების სურვილი.

5. გადმოსასახლებელთა კონტიგენტის შერჩევა და კოლხიდაში გადმოსახლება დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ბიუროს, ფოთის საქალაქო საბჭოსა და ხობის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს.

გადმოსახლებულთა კონტიგენტის შერჩევა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გადასახლება დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულს ამხ. რაფავას წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის და აბაშის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1939 წ. 1 აპრილამდე დაასახლოს ნაბადაში გაშენებული დაბა.

7. დაევალოს კოლხიდმშენს (ამხ. ლაღიძეს) 1939 წ. 15 აპრილამდე გაიყვანოს ნაბადის აშენებულ დაბაში წყალსადენი არხი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში დაამთავროს სახლების გაფორმება პატარა ფოთში დასახლებულ კოლმეურნეებზე.

9. კოლხიდაში გადმოსახლებულთათვის გამოყოფილი მიწების ამოძირკვისა და გაწმენდის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ზესტაფონის, ჭიათურის, ხარაგოულის, ცაგერის, ჩხარის, ონის, ამბროლაურის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და გეგეჭკორის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს ორი თვის ვადაში დაამთავრონ გადმოსახლებულთა კონტიგენტის შერჩევა წინასწარ დაგეგმილ დაბებში დასასახლებლად საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 4. № 336.
თბილისი

№8 ეროვნული ბიბლიოთეკა

33. ევკალიპტის ნარგავების მოვლის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი სუბტროპიკული რაიონების სამიწათმოქმედო ორგანოების არასაკმაო ყურადღების შედეგად, დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული ევკალიპტის ნარგავების მოვლის საქმე (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ლანჩხუთის, ხობის, ზუგდიდის, სამტრედიის და ცხაკაიას რაიონები). ევკალიპტის დარგვისას ირღვევა აგროწესები, კერძოდ: ნიადაგის მომზადება (ორმოების ამოთხრა) ხდება დარგვის დღეს, ორმოების სიდიდე არ შეეფერება დაწესებულ ნორმებს, დარგვის მომენტში არ სწარმოებს მორწყვა, ორმოების გაფხვიერება, ნარგავები არ არის მიკრული სარებზე და არ არის შემოღობილი, ხოლო ახალგაზრდა ნარგავებს ზამთრის პერიოდში მიწას არ აყრიან.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ზემოთჩამოთვლილი დეფექტები და უზრუნველყოფილ იქნას ევკალიპტის ნარგავების ხარისხობრივი მოვლა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, წულუკიძის, ქუთაისის, აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ფოთის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ ევკალიპტის ნარგავების მდგომარეობა, ჩაატარონ 1932 წლიდან დარგული მთელი ნარგავების აღრიცხვა და გამოარკვიონ დაღუპული ნერგების რაოდენობა; შეიმუშაონ პლანტაციების რემონტისა და დაღუპული ნერგების აღდგენის გეგმა იმ ანგარიშით, რომ მთელი ეს სამუშაოები დამთავრდეს 1940 წლის 1 მაისამდე;

ბ) 1939 წლის 1 ივლისამდე დაუსონ სარები ევკალიპტის ყველა ნარგავს 2 წლის ასაკამდე და ჩაატარონ მათი შემოკავება ინდივიდუალური ღობეებით, ხოლო პლანტაციების მთელი ნაკვეთი შემოაკავონ მესერით;

გ) არაუგვიანეს 1939 წლის 25 აპრილისა ჩაატარონ ორმოების გამარგვლა და გაფხვიერება ერთ მეტრამდე დიამეტრით. ამასთან სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიონ და შემდეგში არ დაუშვან ნაგვიანი მცენარეულობის აღმოცენება ევკალიპტის ნარგავების ღეროების გარშემო;

დ) გვალვის პერიოდში ჩაატარონ ახალგაზრდა ნარგავების მორწყვა იმ რაოდენობით, როგორიც საჭიროა მცენარეთა ნორმალური ზრდისათვის ნიადაგობრივი პირობების მიხედვით;

ე) წინადადება მიეცეს ევკალიპტის კულტურის გაშენების რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს 1939 წ. მარტის განმავლობაში ჩაატარონ კოლმეურნეობებში სპეციალური კურს-კონფერენციები ევკალიპტის ნარგავების მოვლის აგროწესების დეტალურად გასაცნობად;

ვ) დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1939 წლის 10 მარტამდე დაბეჭდოს და რაიონებს დაუგზავნოს აგროწესები ევკალიპტის დარგვის, გამოზრდისა და მოვლის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სისტემატურად შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება და ევკალიპტის ნარგავების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ყველა შემთხვევა აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს,

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. მარტის 4. № 344.
თბილისი

---

34. აჯამეთის სატყეო მასივის სატყეო ნაკრძალად გამოცხადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის აჯამეთის სატყეო მასივი წარმოადგენს მუხის წმინდა ნარგავის განსაკუთრებით იშვიათ მასივს, რომელსაც დაცვითი მნიშვნელობა აქვს მევენახეობის რაიონებისათვის (ბაღდათი და ზესტაფონი), გამოცხადებულ იქნას აჯამეთის მუხის მასივი სატყეო ნაკრძალად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ნაკრძალთა კომიტეტს 2 დეკადის ვადაში წარმოადგინონ აჯამეთის სატყეო ნაკრძალის დაცვის პროექტი, ამასთან დააზუსტონ ამ უკანასკნელის საზღვრები ნატურაში.

3. ნაკრძალის გამგებლობა და დაცვა დაეკისროს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. მარტის 13. № 412.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების მე-17 მუხლის 1 შენიშვნის გაუქმების შესახებ.

იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმებულია კოდექსის მე-23 მუხლი მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო მსახურთა, სამხედრო ვალდებულთა და მათი ოჯახებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმდეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 23 მარტის დადგენილებით დამტკიცებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების მე-17 მუხლის შენიშვნა 1 (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 9, მუხ. 36).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. მარტის 13. № 414.
თბილისი

---

36. ადგილობრივი საბჭოების სახლებში კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადებისათვის ანარიცხების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს ადგილობრივ საბჭოებს დააწესონ ყოველთვიური ანარიცხები: კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის 1% რაოდენობით და კადრების მოსამზადებლად 1% რაოდენობით, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნას სახლთ-მმართველობათა ყოველგვარი შემოსავლიდან (ბინის ქირა, საიჯარო ქირის 5% ანარიცხები და სხვა შემოსავალი, გარდა საიჯარო ქირის 95% ანარიცხებისა, რომლებიც კაპიტალური რემონტის დაფინანსების ფონდში გადაირიცხება).

2. დაწესდეს, რომ კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის გამოყოფილი სახსრები დაიხარჯება-საბავშვო მოედნების და ოთახების, აგრეთვე წითელი კუთხეების შესანახად, ინვენტარის და სათამაშოების შესაძენად, ლექტორების და ექსკურსიათა ხელმძღვანელების გასამრჯელოს ასანაზღაურებლად და მოძრავი კინოების ქირის გასასტუმრებლად, კედლის გაზეთის გასაფორმებლად და სხვ., ხოლო კადრების მომზადების სახსრები-სახლების მმართველთა, სახლთსამმართველოების ანგარიშწარმოების მუშაკთა და ეზოს მუშების მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსების მოსაწყობად; დაწესდეს, რომ ამ ღონისძიებებისათვის ასიგნობანი გათვალისწინებულ უნდა იქნას წლიური გეგმებით, რომლებსაც შეადგენენ და დააბტკიცებენ საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების საბინაო სამმართველოები, ხოლო, სადაც ასეთები არ არის,—ადგილობრივი საბჭოების კომუნალური განყოფილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს:

ა) საბავშვო დაწესებულებათა მუდმივი შტატის შენახვა სახლებში გაითვალისწინონ საქალაქო საბჭოების ან რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო განყოფილებების (სახალხო განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის) ხარჯთაღრიცხვებით.

ბ) სახლების და საერთო საქალაქო ან რაიონული კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა და საწარმოთა შენობების რემონტი, აგრეთვე შენობების გადაკეთება ახლად გახსნილი დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის და მათი მოწყობა გაითვალისწინონ ქალაქის ან რაიონის კაპიტალური რემონტის გეგმაში.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია**

1939 წ. მარტის 13. № 417.
თბილისი

---

37. 1940 წლისათვის ციტრუსოვანთა გასაშენებლად 1939 წელს ნიადაგის მომზადებისა და ფართობების ამოძირკვის შესახებ.

ციტრუსოვანთა კულტურების გაშენების 1940 წლის გეგმის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1939 წელს საკოლმეურნეო სექტორში ნიადაგის მომზადების გეგმა 1940 წლისათვის ციტრუსოვანთა გასაშენებლად 3.000 ჰექტარის რაოდენობით შემდეგი განაწილებით რაიონების მიხედვით (იხ. დანართი № 1).

2. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს ჩაატარონ იმ მიწების ნაკვეთების ამოძირკვა, რომლებიც მიმაგრებულია კოლმეურნეობებზე აქტით და რომლებიც ტყეს ან ჯაგნარს უჭირავს, 1348 ჰექტარის რაოდენობით და ამოძირკვის შედეგად დამზადებული ხე-ტყე გამოიყენონ თვით კოლმეურნეობებმა თავისი შეხედულებით (რაიონების მიხედვით ამოძირკვის გეგმა თანერთვის № 2).

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, ციტრუსოვანთა რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სამიწათმოქმედო ორგანოებს დაუყოვნებლივ დაიყვანონ ნიადაგის მომზადების გეგმა თითოეულ კოლმეურნეობამდე და გაშალონ მუშაობა იმ ნაკვეთების მოსამზადებლად, რომლებიც გამოყოფილია ციტრუსოვანთა გასაშენებლად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტი“-ს პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 28

მთავლიტის რწმ. № კ—440 შეკვ. № 680 ტირაჟი 2000